პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 100 (1270) | ხუთშაბათი, 21 აგვისტო, 1958 წ. | გამოცემის მე-15 წელი. | ფასი 30 კაპ.



სურათზე: ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე გარბენის მონაწილენი ფინიშთან. ფოტო ი. მღებრიშვილისა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲥᲣᲚᲐ

საქართველოსა და ლატვიის გოგონათა გუნდების შეხვედრის შემდეგ სტუმრების მწვრთნელმა ანსის რაუბენსმა კმაყოფილებით განაცხადა:

— ჩვენ უკვე ჩვენი საქმე სანახევროდ გავაკეთეთ!—რას გულისხმობდა მწვრთნელი ამ სიტყვებში? ფრჩხილების გახსნა არ არის ძნელი. საპატიო პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ლატვიის გუნდმა უკან ჩამოიტოვა ყველაზე საშიში მეტოქე — საქართველოს გუნდი. დარჩენილ შეხვედრებში მას თავისი უდავო უპირატესობის ფიქსირება მოუხდება მხოლოდ და სანუკვარი პირველი ადგილიც სახეზე იქნება. ასეთია ყოველ შემთხვევაში სპეციალისტთა დიდი უმრავლესობის პროგნოზი, რომელიც ამჯერად ალბათ სინამდვილესთან ახლოს დგას.

როგორც ცნობილია, გასულ სპარტაკიადაში გოგონათა შორის პირველი ადგილი საქართველოს კოლექტივმა მოიპოვა. ეს იყო კანონზომიერი მოვლენა, რადგან გამარჯვებულმა გუნდმა ქვეჯგუფებში ყველა შეხვედრა მოიგო ოცი და მეტი, ხოლო ფინალებში, ათი ქულის განსხვავებით. მაგრამ ეს იყო ერთი წლის წინათ, როდესაც გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ნელი ჯაფარიძე, ლიანა ქველიძე, თინა საბადაშვილი და სხვები, კალათბურთელები, რომლებიც წელს რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავენ „ა“ კლასში.

რიგელ გოგონათა გუნდი ამ ტურნირში ყველაზე დასრულებულ და ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებას სტოვებს: ჰყავს მაღალი, მოძრავი ცენტრალური თავდამსხმელი, სწრაფი გარემარბები და ენერგიული გამთამაშებელი. ლატვიელ კალათბურთელებს აქვთ მაღალი ტექნიკა, ტაქტიკურად გამართული თამაში და კალათში ზუსტი სროლები. რა არის საჭირო კიდევ წარმატებისათვის? ვფიქრობთ, რომ არაფერი

გუშინწინდელ მატჩში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი ცენტრალური თავდამსხმელის, რიგელი სილვია რაუდონეს და სოხუმელ ლუიზა შკლიარჩუკის ორთაბრძოლას და უნდა ითქვას, რომ ლატვიელმა დაჩაგრა ჩვენი ცენტრი. რომ არაფერი ვთქვათ ჩაგდებულ ბურთებზე (რაუდონემ გუნდს 12 ქულა მოუტანა, შკლიარჩუკმა კი — 5) რიგელი უფრო ეფექტურად მოქმედებდა როგორც საკუთარ ისე, მოწინააღმდეგის ფარქვეშ. სტუმრებმა უზრუნველყვეს რა თავისი კალათის დაცვა საიმედოდ, უფრო აზრიანად და გონივრულად წარმართეს შეტევა და წარმატებასაც მიაღწიეს. თბილისელთა იერიშებში ერთგვარი სიმწვავე შეიტანა ცისანა ჯიშკარიანმა (რომელიც მოედანზე მეორე ტაიმში გამოვიდა) მაგრამ ეს ნაპერწკალი ბოლომდე ვერ გაღვივდა და საკმარისი არ გამოდგა წარმატებისათვის.

თამაშის დაწყებიდან დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში სადემონსტრაციო დაფა უჩვენებდა ანგარიშს — 0:0. პირველი ბურთი კალათში ჩაგდებულ იქნა მეოთხე წუთზე ლატვიელ რაუდონეს მიერ. ამის შემდეგ ანგარიში სამჯერ იყო მხოლოდ საყაიმო 4:4, 6:6, 8:8. დაახლოებით მეათე წუთიდან წინ გადიან ლატვიელი კალათბურთელები და შეხვედრის დამთავრებამდე ხელიდან არ უშვებენ ინიციატივას. სერიოზული საფრთხის წინაშე იყვნენ სტუმრები მხოლოდ უკანასკნელ წუთებში. ანგარიშზე 39:32 ლატვიელებმა მხოლოდ ოთხი ქულის აღება შეძლეს, მასპინძლებმა კი 9 ქულისა, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენისათვის ანგარიშში 2 ქულით განსხვავება მაინც იყო. შეხვედრა მოიგეს რიგელებმა — 43:41.

როგორც მატჩის მხვლელობის ოქმმა ცხადყო, სტუმრების თავდამსხმელებმა თანაბარი წვლილი შეიტანეს გუნდის წარმატებაში. როდესაც მაღალი ტანის ცენტრალური თავდამსხმელი საიმედოდ ჰყავდათ აყვანილი თბილისელებს, თამაშის სიმძიმე გადადიოდა ან არია რიმბენეცეზე (№ 3) ან სირმიჩე მარტინოვაზე (№ 5). სწორედ ამიტომაა მათი წვლილი საერთო ანგარიშში თანაბარი. რაუდონემ გუნდს მოუტანა 12 ქულა, ხოლო რიმბენეცემ და მარტინოვამ — 11_11. ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი გამოდგა ჯიშკარიანი (10 ქულა).

საქართველოს გუნდმა დაჰკარგა პირველი ქული, ხოლო ლატვიის გუნდმა გაიკაფა გზა პირველი ადგილისაკენ.

ერთი შეხვედრა იყო ამ დღეს საინტერესო კიდევ: ლიტვისა და უკრაინის ჭაბუკთა კოლექტივების მატჩი. წინა დღის დაძაბულმა მატჩმა (საქართველოს გუნდთან) დაღი დასვა ლიტველთა თამაშს საერთოდ. გუნდი მართალია კვლავ გააზრებულად, ტექნიკურად მოქმედებდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მას არ ჰქონდა ის ენერგია და მონდომება რაც წინა დღეს. სწორედ ამიტომ პირველი ნახევრის შემდეგ ისინი დამარცხების საშიშროების წინ აღმოჩნდნენ (პირველი ტაიმი მოიგო უკრაინელთმა — 30:21). არც მეორე ნახევარში ჰქონდათ კარგად საქმე ლიტვის კალათბურთელებს. მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე გამოგლიჯეს გამარჯვება მათ „ურჩ“ მოწინააღმდეგეებ (52:51). არასწორი იქნება ვიფიქროთ, რომ ასეთი შედეგი უფრო მეტად ლიტველთა სუსტი თამაშით იყო გამოწვეული. უკრაინელების გუნდი უკვე მეორე წელია, რაც სამართლიანად ჩადგა უძლიერესთა რიგებში. ამიტომ გუშინწინდელი სენსაციის (დიახ, სენსაციაა ის ფაქტი, რომ ლიტვამ უკანასკნელ წუთებზე მოიგო წაგებული მატჩი) მიზეზი პირველ რიგში უკრაინელების კალათბურთელთა მზარდი ოსტატობაა.

* * *

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: გოგონები—ლიტვა-ესტონეთი — 63:44, რსფსრ (ოლქ.)-უკრაინეთი — 50:48, „შრომითი რეზერვები“-უკრაინა—34:32.

ჭაბუკები — უკრაინა-„შრომითი რეზერვები“ — 72:41, ლატვია-აზერბაიჯანი — 57:46, საქართველო-ესტონეთი — 72:65.

საჭიროა მეტი მონდომება

ფრენბურთელთა ფინალური შეხვედრების მესამე დღეს ორ მოედანზე ერთდროულად მიმდინარეობდა საქართველოს გუნდების მატჩები. ამ დღეს ჭაბუკების წინააღმდეგ თამაშობდნენ ლიტველები, ხოლო გოგონათა გუნდს შეხვედრა ჰქონდა ესტონელ სპორტსმენებთან.

შეხვედრათა მიმდინარეობამ ცხადყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ორივე კოლექტივს სათანადო დასკვნები გამოუტანიათ წინა დღეს ჩატარებული მატჩებიდან. მართალია, დასაწყისში გოგონებს ისევ გაუჭირდათ თამაშის აწყობა, განსაკუთრებით დაცვაში. ისინი არასწორად აგებდნენ ბლოკს, ხშირად ღიად ტოვებდნენ ადგილს მოედანზე, მაგრამ შეცდომები სულ მალე იქნა გამოსწორებული და პირველი პარტია მათი აშკარა უპირატესობით დამთავრდა.

მეორე პარტიაში, როცა ანგარიში სტუმრებს მიჰყავდათ — 10:3, ჩვენმა გუნდმა შეძლო ძალების მობილიზება. კვლავ კარგი იყო გუნდის ლიდერი ც. აბუაშვილი, რომელიც ინდივიდუალური ძლიერი თამაშის გარდა, უნარიანად ხელმძღვანელობდა თანაგუნდელებსაც. მასპინძლებმა მოიგეს ეს პარტია ანგარიშით 15:13.

ხშირია შემთხვევა, როცა გუნდს ანგარიში მიჰყავს — 2:0, მაგრამ შემდეგში ზედიზედ წაუგია მომდევნო სამი პარტია. ალბათ, ასე ფიქრობდნენ სტუმრებიც, როცა „ურუ დაცვიდან“ აქტიური შეტევაზე გადავიდნენ და სცადეს გარდატეხა შეეტანათ თამაშში.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მსოფლიოს საუკეთესო სასროლეთზე

სროლაში მსოფლიოს პირველობის ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე გაისმა თოფის ხმა მოსკოვის მიდამოებში. პირველობის მონაწილე ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენები ჩაებნენ საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში. ადგილიდან სასტენდო სროლაში პირველმა საბჭოთა სპორტსმენმა დააგროვა 96 ქულა 100-დან, შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმა და მოიპოვა ოქროს მედალი. ეს იყო თბილისელი ი. საგანელიძე. შემდეგ იგივე შედეგები აჩვენეს სხვა საბჭოთა სპორტსმენებმა — მოგილევსკიმ, ზიმენკომ, კაპალკინმა, მაგრამ ყველაზე მაღალი შედეგი — 98 სამიზნე იტალიელ ლ. როხის ჰქონდა.

შეჯიბრების მეორე დღეს ახალ წარმატებას მიაღწიეს სხვა ქართველმა სპორტსმენებმა. ზ. მაჩხანელმა, ვ. ჯაბახიძემ და ა. ხახანაშვილმა, მოიპოვეს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

17 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ სასროლეთზე მოხდა 37-ე მსოფლიო პირველობის ხაზეიმო გახსნა.

37-ე პირველობაში მონაწილეობს 27 ქვეყნის 600 სპორტსმენი. ჩემპიონატში, ისე, როგორც უწინ, გათამაშდება 7 პრიზი. „ლიონის თასი“ — მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მეტრზე სროლაში, „შვეიცარიის თასი“ — მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლილა სროლაში, „კრიუგერის პრიზი“—გაქცეულ ირემზე საუკეთესო შედეგისათვის, „ვენესუელას პრიზი“ — პისტოლეტ - რევოლვერით მრგვალ სამიზნეზე და სილუეტზე სროლაში, „არგენტინის თასი“ — ნეპისმიერი შაშხანიდან 300 მეტრზე სროლაში. „ჰელსინკის თასის“ მფლობელი გახდება მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სილუეტებზე სწრაფ სროლაში გამარჯვებული კოლექტივი, ხოლო „მანერჰეიმის თასს“ მოიპოვებს ის გუნდი, რომელიც არმიული შაშხანიდან სროლაში აჩვენებს ყველაზე კარგ შედეგს.

შეჯიბრების პირველმა დღემ პირველი გამარჯვება მოუტანა საბჭოთა გუნდს. ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში 50 მეტრზე მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა მ. უმაროვმა, რომელმაც 600 შესაძლებლიდან 565 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ა. გუშჩინი (საბჭოთა კავშირი) და ნ. ლინეოლნი (აშშ). გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ქვეყნის კოლექტივმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 2,77,6 ქულა და მოიპოვა პირველი პრიზი შვიდიდან — „ლიონის თასი“. ამერიკელები იძულებული იყვნენ მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყვნენ, მესამეზე არიან ჩეხები.

სპარტაკიადის კალენდარი

ფრენბურთი. გოგონები. საქართველო-რსფსრ (მოსკოვი) — 17.30 ს. ჭაბუკები. აზერბაიჯანი-საქართველო — 17.30 ს.

კალათბურთი. გოგონები. საქართველო-ყირგიზეთი — 17 ს. ჭაბუკები. საქართველო-ყირგიზეთი — 18. 10 ს.

წყალბურთი. საქართველო-სომხეთი — 16.20 ს.

ესტაფეტაში პირველი

ვინ იფიქრებდა, თუ ე. კობეცკოი (საქართველო), რომელიც თავისუფალი სტილით 100 მეტრზე წინასწარ გაცურვაში ყველაზე ძლიერი იყო, ფინალში ვერ შეძლებდა ამ უპირატესობის შენარჩუნებას და ჩემპიონობას დაუთმობდა ესტონელ მ. ელისტეს, რომელსაც 0,6 წამით უარესი შედეგი ქონდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მან არასათანადოდ შეაფასა მოწინააღმდეგე და შედეგიც შესაფერისი მოიმკა. კობეცკოიმ წინა დღის დრო — 1.01,0 გააუარესა 0,2 წამით, მაშინ, როცა ელისტემ აჩვენა 1.00,4. აქ მესამე ადგილი წილად ხვდა ლ. კლიმენკოს (უკრაინა).

ამ სახეობაში გოგონათა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი გოგონათა შორის მოსკოველი მოხწავლე გ. ფილიპი — 1.09,4.

კობეცკოის ამ დღეს არც ჩვენი რესპუბლიკის გუნდის მეორე წარმომადგენელი ლ. კრილოვა ჩამორჩა. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში იგი ლიდერობდა 150 მეტრის მანძილზე, მაგრამ შემდეგ, ეტაპობა, ცუდად გაანაწილა ძალები, საგრძნობლად უკლო ტემპს და წინ გაუშვა ჯერ მოსკოველი ლ. გრინევიჩი — 3.10,0, ხოლო შემდეგ უკრაინელი ხ. ვაზნიუკი — 3.10,6. მართალია, იგივე დრო — 3.10,6 აჩვენა კრილოვამაც, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა თუნდაც მეორე ადგილის მოპოვებისათვის. თუ გავიხსენებთ კრილოვას მიერ წინა დღეს ნაჩვენებ შედეგს — 3.07,1, ნათელი გახდება, რომ სპორტსმენი თავს „გაუფრთხილდა“.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან ამ დღეს ერთადერთი პირველი ადგილის მოპოვება შეძლო ი. ფუნიკოვმა, რომელმაც ყველაზე კარგ დროში დაამთავრა ფინალური გაცურვა ბრასის სტილით 200 მეტრზე — 2.49,9.

კვლავ ცუდად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის გოგონები შეჯიბრების მესამე დღეს, ამჯერად კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. მართალია, ისინი ათეულში მოხვდნენ, მაგრამ ვერც ამჯერად შეძლეს სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ მოსკოვის, უკრაინისა და ლენინგრადის გუნდებისათვის, რომლებმაც შესაბამისად დაიკავეს პირველი სამი ადგილი. სამაგიეროდ, აშკარა იყო ჭაბუკთა უპირატესობა ამავე სახეობაში.

პირველ ეტაპზე ვ. სოტნიკოვმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო გაზარდა ჯერ ი. ფუნიკოვმა, ხოლო შემდეგ ლ. გიორგაძემ და ე. კობეცკოიმ. საქართველოს ჭაბუკთა კოლექტივმა 6,5 წამით მოუგო მეორე ადგილზე გამოსულ მოსკოვის ძლიერ კოლექტივს, რომელმაც აღნიშნული მანძილი დაფარა 4.48,7 წუთში. „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენებმა, რომლებიც პირველობის პრეტენდენტებად ითვლებოდნენ, თავიანთ მხრივ 1,6 წამით წააგეს მოსკოველებთან და მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

სილუეტებზე ცრემლა

შეჯიბრების პირველი დღის წარუმატებლობა, [illegible] ელებმა ნაწილობრივ გამოასწორეს სილუეტებზე ცროლა. შეჯიბრების პირობები საკმაოდ მკაცრია: ჩათვლაში შედის არანაკლები 270 ქულა 300 შესაძლებლიდან და ამავე დროს 30 სროლიდან 30 მოხვედრა სამიზნეზე ტყვიის „გაფრენის“ გარეშე. მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ სამიზნე მხოლოდ სამი წამის განმავლობაში იმყოფება მსროლელის მხედველობის არეში. პირველ ნაკადში მონაწილე 9 გუნდიდან მხოლოდ მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებმა შეიძინეს 4-4 მსროლელის ჩასათვლელი ქულები.

საქართველოს გუნდიდან პლიტკომ ერთი სროლა დააცილა, მხოლოდ 265 ქულა შეაგროვა და ჩათვლაში ვერ მოხვდა. გუნდის სამმა დანარჩენმა წევრმა — ტულუმბაჯიანმა, სალუქვაძემ და ცაპკინმა ჩასათვლელი ქულები მოაგროვეს და გუნდს 830 ქულა მისცეს. „დაიჩაგრნენ“ მოლდავეთის, ესტონეთისა და უზბეკეთის გუნდები, რომლებმაც 2-2 ნოლიანი მიიღეს და დაკარგეს საპრიზო ადგილზე გამოსვლის შანსები.

პირად ჩათვლაში ჯერჯერობით წინ არის მოსკოველი ნოსკოვი, რომელსაც 300 შესაძლებლიდან 293 ქულა აქვს.

საჭიროა მეტი მონდომება

(დასასრული)

საქართველოს გოგონები ოდნავადაც არ ფიქრობდნენ ინიციატივის ხელიდან გაშვებას, ბევრს მუშაობდნენ მოედანზე, აკრობატული ნახტომებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ყველა შეტევას და იერიშს იერიშით პასუხობდნენ. ბადეასთან თამაშით გართულ ესტონელებს ხშირად ავიწყდებოდათ უკანა ხაზების დაცვა, რითაც კარგად ისარგებლეს მასპინძლებმა და რამდენიმე ქულა მოიპოვეს. სტუმრებმა მთლიანად დაპკარგეს წინააღმდეგობის ყოველგვარი სურვილი. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 3:0 ჩვენი რესპუბლიკის გუნდის სასარგებლოდ.

როცა ეს შეხვედრა დამთავრდა, საქართველოსა და ლიტვის ჭაბუკთა შეხვედრაში ანგარიში იყო 1:1. სტუმრებმა მხოლოდ მეორე პარტიის მოგება შეძლეს. ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივი ამჯერად მოედანზე გამოიყურებოდა, როგორც ბრძოლისუნარიანი, ტემპერამენტიანი, მტკიცე კოლექტივი, რომელიც უდიდესი თავგანწირვით მოქმედებდა ყველა როლში (და არა უსისტემო გუნდი, რომელიც „შრომითი რეზერვებსა“ და უკრაინელთა წინააღმდეგ თამაშობდა).

ბურთის თამაშში შეუვანისთანავე აქტიურად ამოქმედდნენ ალიევი და გონგაძე. მათი ჩარტყმების წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ ლიტველები, თუმცა მათი მწვრთნელი ა. იოზატისი ყოველ წუთშესვენებაზე აფრთხილებდა გუნდის წევრებს, გონგაძე ჰყოლოდათ მხედველობის ქვეშ. ამ შეხვედრაში ქართველმა სპორტსმენმა ცხადჰყო, რომ მათ შესანიშნავად შეძლებიათ თამაში და საჭირო ყოფილა მხოლოდ მონდომება.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებმა მესამე და მეოთხე პარტიები მოიგეს ერთნაირი ანგარიშით 15:9 და მთელი შეხვედრაც — 3:1.

ჭაბუკთა შორის შეჯიბრების ლიდერებმა — „შრომითი რეზერვებისა“ და უკრაინის გუნდებმა მხოლოდ მეხუთე პარტიაში შეძლეს შესაბამისად აზერბაიჯანისა და მოსკოველთა დამარცხება.

გოგონათა შორის მოსკოვის კოლექტივმა ოთხ პარტიაში დაამარცხა ლენინგრადის გუნდი. ისე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელი გოგონები, ისინიც დაუმარცხებლად იბრძვიან.

• • •

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ჭაბუკები — ლატვია-რსფსრ — 3:1; გოგონები — ლიტვა-ლატვია — 1:3; „შრ. რეზერვები“-უკრაინა — 1:3.

თავშეუკავებელი საქციელი

წყალბურთელთა ტურნირში საქართველოს გუნდთან წაგების შემდეგ შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა მოსკოვის გუნდმა ჯავრი „შრომითი რეზერვების“ გუნდზე იყარა და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა მორიგი შეხვედრა ჩაატარა ლენინგრადის კოლექტივთან. ლენინგრადელებს ფინალურ ჯგუფში ჯერ არა ჰქონდათ დამარცხება. ერთადერთი წაგება მათ ტვირთად გადმოყვათ ქვეჯგუფში მოსკოვის გუნდთან შეხვედრის შედეგად. ამიტომ იყო რომ, საქართველოს გუნდმა მეტად ფრთხილად დაიწყო თამაში.

ანგარიშის გახსნა გაჭირდა. მართალია, მიმინოშვილმა ერთი გაბედული გარღვევა მოახერხა და აიძულა მცველი აშკარა გოლისაგან კარის ხსნისათვის უხეშად ეთამაშა, მაგრამ 4-მეტრიანი საჯარიმო მან ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ ლენინგრადელებმა ჩინებულად ისარგებლეს ბოგდანოვის შეცდომით და ტაიმი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 1:0.

შეხვედრის მეორე ნახევარში მიმინოშვილმა გამოისყიდა პირველ ტაიმში ჩადენილი შეცდომა და 4-მეტრიანი ტყორცნა ამჯერად ზუსტად შეასრულა. ანგარიში გათანაბრდა. შემდეგ ვადაჭკორიამ ორ მცველთან ბრძოლაში ლამაზად გატანილი გოლით გუნდს მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა.

მოწინააღმდეგის შეუფასებლობამ უსიამოვნებამდე მიიყვანა პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი — უკრაინის კოლექტივი.

როცა ანგარიში რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა წაიყვანა, უკრაინის გუნდს ნერვიულობა დაეტყო. ამას დაემატა ისიც, რომ უკრაინელთა მიერ თამაშის წესების დარღვევით (ტყორცნის მომენტში ბურთის შეყოვნება) გატანილი 4-მეტრიანი საჯარიმო მსაჯმა არ ჩათვალა. უკრაინელებს კვლავ მიეცათ ანგარიშის გაქვითვის შესაძლობა — მათ სასარგებლოდ დაინიშნა კიდევ ერთი 4-მეტრიანი საჯარიმო. სწორედ აქ გაუწია „დათვური სამსახური“ გუნდის წარმომადგენელმა თავის გუნდს. მან ტრიბუნიდან ხმამაღალი შეძახილით „დაარიგა“ მოთამაშე ზუსტად ისევე ეტყორცნა საჯარიმო, როგორც რამდენიმე წუთის წინ. მოთამაშემაც ზუსტად შეასრულა დარიგება და, რასაკვირველია, მსაჯმა კვლავ არ ჩათვალა წესების დარღვევით ნატყორცნი ბურთი.

მატჩის წაგებით განაწყენებულმა უკრაინის გუნდის წარმომადგენელმა უტაქტო საქციელი გამოავლინა მსაჯთა კოლეგიის მიმართ. მას მიბაძა წყალბურთელმა სტეპანიუკმა, მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელა ამ საკითხზე, უკრაინელთა პროტესტი უსაფუძვლოდ ცნო. გუნდის წარმომადგენელი გაათავისუფლა მოვალეობიდან, ხოლო სტეპანიუკს აუკრძალა თამაში სპარტაკიადის ბოლომდე.



ცნობები მცხეთის საწყლოსნო სადგურიდან

მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამის 13 სახეობიდან ნიჩბოსნობა „გავიდა“ თბილისის ფარგლებს გარეთ — ნიჩბოსნებმა საახპარეზოდ მცხეთა ამჯობინეს.

დადგა პირველი სტარტის დღეც. ერთი და ორმოსასმელიანი ბაიდარებით 500 მეტრზე წინასწარი გაცურვების შემდეგ, როგორც ჭაბუკებს, ისე გოგონებს შორის, უკვე დღის ბოლოსათვის გამოვლინდნენ ფინალის მონაწილენი, რომლებსაც უფლება ეძლეოდათ, ებრძოლათ საპრიზო ადგილებისათვის.

ერთმოსასმელიანი ბაიდარით 500 მეტრზე რბოლაში ჭაბუკთა წინასწარ შეჯიბრებებში ყველაზე კარგი შედეგი — 2.20,2 ჰქონდა უკრაინელ კ. სკაჭკას, მაგრამ ფინალში იგი გაცილებით ცუდად გამოვიდა და პირველი ადგილი ლატველ ლ. ფედორენკოს დაუთმო — 2.24,2. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გ. სიხარულიძე სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე ავად გახდა, მაგრამ მან გუნდის ინტერესები საკუთარ თავზე მაღლა დააყენა, ჩაება შეჯიბრებაში და ფინალში გასვლაც შეძლო. ფინალში ფინიშთან სიხარულიძემ მესამე ადგილი „დაუთმო“ ბელორუსელ ა. ეუკს — 2.27,2, რომელსაც იგი 0,1 წამით ჩამორჩა.

შედარებით სუსტად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გ. ზანდუკელი და მ. მესხიძე. ორმოსასმელიანი ბაიდარებით 500 მეტრზე ფინალურ შეჯიბრებაში მათ მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს — 2.14,6 და წინა დღის შედეგი 4,1 წამით გააუარესეს, მაშინ, როცა ახალმა ჩემპიონმა — ბელორუსიის გუნდმა ფინალში აჩვენა 2.08,8, ხოლო მეორე ადგილზე გამოსულმა ლიტველებმა — 2.11,2. საერთოდ, ჩვენი ჭაბუკების ეს შედეგი ცუდი არაა, მაგრამ მოსალოდნელი იყო უკეთესი მაჩვენებლების მოპოვება.

სამაგიეროდ, გოგონებმა თავი ისახელეს ორივე ფინალურ გაცურვაში. ჯერ ა. იუდანოვამ დიდი მანძილით უკან მოიტოვა უახლოესი კონკურენტი ე. ცურიკოვა (რსფსრ) და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა — 2.35,8. ხ. ბერიკაშვილმა და თ. ფერაძემ ორმოსასმელიანი ნავით შეჯიბრებაში შეძლეს მეორე საპრიზო ადგილზე გამოსვლა — 2.27,3. ფინიშთან პირველები იყვნენ უკრაინელები — 2.23,2, მესამე — ლატვია.

ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნები როგორც გოგონები, ისე ჭაბუკები, ფინალში გავიდნენ ესტაფეტაშიც 4×500 მეტრზე. გოგონათა გუნდმა (იუდანოვა, ბერიკაშვილი, ფერაძე, ბორისაშვილი) აჩვენა მეორე შედეგი, ხოლო ჭაბუკებმა (ხლაპკოვი, ფირალოვი, სიხარულიძე, კამაროვი) — მესამე.

• • •

სურათზე: ერთმოსასმელიანი ბაიდარით რბოლაში გამარჯვებული ა. იუდანოვა.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐᲛᲓᲔ

✦

გუშინ გაიმართა შეხვედრები სპორტის მთელ რიგ სახეობებში. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

კალათბურთი: ვაქები — საქართველო-უკრაინა — 70:54; გოგონები — საქართველო-ლიტვა — 49:42.

ფრენბურთი: ვაქები — საქართველო-მოსკოვი — 1:3, გოგონები —საქართველო-„შრომითი რეზერვები“ — 3:1, მოსკოვი-უკრაინა 1:3.

წყალბურთი: საქართველო-აზერბაიჯანი — 10:4.

მძლეოსნობა: ი. დიაჩკოვმა პირველი ადგილი მოიპოვა 110 მეტრზე თარჯრბენში — 15,2.

ცურვა: 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინიშთან პირველი იყო საქართველოს გუნდის წევრი ა. სუდარიკოვი—5.03,5.

ᲛᲔ-2 ᲒᲖ. № 100 (1270)

დამსახურებული გამარჯვება

მაგიდის ჩოგბურთში ჭაბუკთა შორის ბრძოლა ლიდერობისათვის ძირითადად ლიტვისა და „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენებს შორის გაიმართა. ისინი ერთნაირი მონდომებით ატარებდნენ ყველა შეხვედრას და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ. დადგა ჩემპიონობის პრეტენდენტთა შეხვედრის დღეც.

პირველივე თამაშებიდან აშკარა იყო ლიტველთა უპირატესობა, რომლებიც ენერგიულად იბრძოდნენ თვითეული ქულისათვის. ანგარიში 9:2, რომლითაც გაიმარჯვეს ლიტველებმა, მათ სავსებით დაიმსახურეს.

არანაკლები ენერგიით თამაშობენ ლიტველი გოგონები. მათ „მშრალი“ ანგარიშით — 11:0 დაამარცხეს თავიანთი ძირითადი მეტოქე — მოსკოვის გუნდი. მოუგეს ესტონეთს — 10:1 და ლატვიელებს — 11:0.

ჭაბუკთა ტურნირში მე-9 და მომდევნო ადგილებისათვის, სადაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები გამოდიან, ლიდერობენ აზერბაიჯანელები. ქართველმა ჩოგბურთელებმა დიდი ანგარიშით — 11:0 მოუგეს უზბეკეთისა და თურქმენეთის გუნდებს და დამარცხდნენ (4:7) მოლდაველებთან. საქართველოს გოგონებმაც სამი გამარჯვება მოიპოვეს—ყირგიზეთთან (11:0), ბელორუსიასთან (11:0) და სომხეთთან (8:3).

ამ ჯრასის რეკორდი

19 აგვისტოს ჩატარდა გუნდური ველოსიპედი ჭაბუკთათვის 50, ხოლო გოგონათათვის 25 კილომეტრზე.

სტარტი პირველად „შრომითი რეზერვების“ გუნდმა აიღო. მიუხედავად ამისა, გუნდმა მაღალ ტემპში განვლო მთელი დისტანცია და ბოლომდე შეინარჩუნა იგი. გამარჯვებულის დროა 1 საათი 13,38 წუთი. ასეთი დრო ნატახტარის გზატკეცილის ტრასაზე ჯერ არც ერთ გუნდს არ უჩვენებია. მეორე ადგილი დაიკავეს ბელორუსიის, ხოლო მესამე — ლატვიის ჭაბუკებმა. ერთობ არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდი, რომელმაც დაიკავა ერთ-ერთი უკანასკნელი, მე-12 ადგილი.

გოგონათა შორის 25 კილომეტრი ბელორუსიის ველოსიპედისტებმა დაფარეს 41,12,1 წუთში, რამაც მათ მოუტანა პირველი ადგილი. ამ დისტანციაზე მეორე იყო საქართველოს კოლექტივი—41.43,7, ხოლო მესამეზე — რსფსრ-ს ნაკრები — 41.49,3.

სურათზე: თურქმენეთის ნორჩი ველოსიპედისტები დისტანციაზე.

ღ. იევლევას 5 მ და 98 სმ!

მძლეოსანთა შეჯიბრების მეორე და მესამე დღის პროგრამიდან ყველაზე საინტერესო იყო სიგრძეზე ხტომა გოგონებს შორის. მთავარი პრეტენდენტები აქ იყვნენ საქართველოს წარმომადგენელი ლ. იევლევა, ლიტველი ლ. მასკოლიუნაიტე და მოსკოველი ლ. რამენოვა. პირველ ცდაზე საქართველოს გუნდის წევრმა აჩვენა 5 მეტრი და 39 სანტიმეტრი, მეორე ცდაზე მან თავისი შედეგი საგრძნობლად გააუმჯობესა—დაძლია 5 მ 73 სმ. საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია რეკორდსმენის მესამე ნახტომმა. როდესაც იევლევამ ნახტომი შეასრულა და ფხვიერ ხილაში ღრმად ჩაეფლო, მსაჯებმა მოიმარჯვეს საზომი და... ტრიბუნებზე გაისმა მჭუხარე ტაში — ლ. იევლევამ აჩვენა 5 მეტრი და 98 სანტიმეტრი. ეს საკავშირო რეკორდია გოგონებისათვის. მეორე ადგილზე გამოვიდა ლიტველი სპორტსმენი — 5,76, მესამეზე მოსკოველი — 5,64.

გოგონებს შორის ბირთვის კვრაში პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა ბელორუსელ გ. დრუგოშევსკაიას, ლენინგრადელ ლ. პროვორნოვასა და საქართველოს გუნდის წარმომადგენელს მ. დიაჩკოვას

ლ. იევლევა

✦

შორის. აქ ყველას აჯობა ბელორუსელმა სპორტსმენმა, რომელმაც ბირთვი ჰკრა 13 მეტრსა და 47 სანტიმეტრზე. მეორე იყო ლ. პროვორნოვა 13,16, მესამე — მ. დიაჩკოვა — 13,16.

ჭაბუკთა შორის 200 მეტრზე რბენის ფინალში ვერ მოხვდნენ საქართველოს გუნდის წარმომადგენლები, რომლებმაც ნახევარფინალურ გარბენებში დაბალი შედეგები აჩვენეს. ვ. ავიძბა ფინიშთან 23 წამში მივიდა, ასეთივე შედეგი ჰქონდა მ. გოლდს, ხოლო ი. ფაღავას — 23,1. ფინალურ გარბენში უძლიერესი იყო ს. სოლნცევი (ბელორუსია), რომელმაც აჩვენა 22,2 წამი.

1500 მეტრზე რბენაში სტარტიდანვე მაღალი ტემპი აიღო ყაზახეთის გუნდის წარმომადგენელმა სოვეტ ისამბაევმა, რომელმაც პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი. გამარჯვებულის დროა 4.02,4. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია ჭაბუკთათვის. ფინიშთან მეორე იყო „შრომითი რეზერვების“ გუნდის წევრი ს. ლებედევი — 4.04,4, მესამე — ბელორუსელი ვ. კლიმკოვიჩი — 4.05,8.

110 მეტრზე თარჯრბენში თავისი წინასწარი გარბენი მოიგო ი. დიაჩკოვ-დუმბაძემ (საქართველო), რომლის დროა — 15,3 წამი. ნახევარფინალში მან ეს მანძილი დაამთავრა კიდევ უფრო მაღალი შედეგით — 15,0. აღსანიშნავია, რომ ი. დიაჩკოვ-დუმბაძემ თავისი უახლესი მეტოქე თითქმის 10 მეტრით ჩამოიტოვა.

გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა

ლიდერობენ ლენინგრადელები

წყალში მხტომელთა შეჯიბრება დაიწყო ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომით. ჭაბუკთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ლიტველი რ. კასნარასი, მეორე ადგილი მოიპოვა ნ. სმირნოვმა („შრ. რეზერვებმ“), ხოლო მესამე — მინსკელმა ა. კრასულაიმ, გოგონათა შეჯიბრებაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა ლენინგრადელ ვ. მოლოდცოვას, რომელმაც თავის თანაგუნდელ გ. კრუშნიკოვას გაასწრო სულ 0,6 ქულით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სპორტსმენები სუსტად არიან მომზადებული შეჯიბრებისათვის. მხოლოდ ნ. კინწურაშვილმა შეძლო უძლიერესთა ათეულში მოხვედრა. მისი თანაგუნდელები ო. ტკაჩენკო, ე. ნესტერენკო და ლ. მახვილაძე შედარებით უარეს ადგილებზე გამოვიდნენ.

განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ საქართველოს ჭაბუკებს. მათ შორის საუკეთესო იყო გ. მხითარიანი, რომელმაც მოიპოვა 22-ე ადგილი და გუნდს ვერ მისცა ჩასათვლელი ქულა. ცნობილია, რომ მხოლოდ წყალში ხტომაში ვარჯიშით სპორტსმენი შორს ვერ წავა, რადგან ეს სახეობა მოითხოვს ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებასა და ვარჯიშს. უკანასკნელ ხანებში ბევრმა მუშაობა გარდაქმნა ნორჩ წყალში მხტომელთა შორის ახალ საწყისებზე. ბავშვებს ახლა ამეცადინებენ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ქორეოგრაფიაში და შედეგებიც შედარებით უკეთესია. სწორედ ამითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ წინა სპარტაკიადასთან შედარებით ამ შეჯიბრებაზე გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ ნორჩ სპორტსმენებს. ამას ვერ ვიტყვით საქართველოს მწვრთნელთა შესახებ, რომლებიც დღემდე ჯიუტად ცდილობენ მხოლოდ წყალში ხტომა შეასწავლონ ბავშვებს და არ ზრუნავენ მათს საერთო ფიზიკურ მომზადებაზე. დ. კინწურაშვილი, ლ. მახვილაძე, გ. მხითარიანი კარგი ფიზიკური მონაცემების ახალგაზრდები არიან, რომლებსაც სწორი, რეგულარული ვარჯიშის შემდეგ შეეძლებათ საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვება. მაგრამ მათ მიერ შესრულებულ ვარჯიშებში არ იგრძნობა დახვეწილობა, მათ არ ყოფნით ფიზიკური ძალა და ამტანობა.

შეჯიბრების მეორე დღეს გაიმართა ხტომები სამმეტრიანი ტრამპლინიდან. აქ გოგონათა შორის გაიმარჯვა ლიტველმა გ. პლიოპლიტემ, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო — 57,39 ქულა. მეორე იყო უკრაინელი ვ. გრინკო, ხოლო მესამე — უზბეკეთის წარმომადგენელი ნ. კარაკასადოვა. დ. კინწურაშვილმა მოაგროვა 47,70 ქულა და მე-19 ადგილზე გამოვიდა, ხოლო რესპუბლიკის ჩემპიონმა გოგონათა შორის ლ. მახვილაძემ შეძლო მხოლოდ 44,91 ქულის დაგროვება.

ირინე თუ მზია—მზია!

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, როგორც ყოველთვის, დაიწყო გოგონათა გამოსვლებით. 18 აგვისტოს დილით ბრძოლაში ჩაებნენ პირველთანრიგოსნები, რომელთაგან სავალდებულო პროგრამაში საუკეთესო შედეგი ოთხმიდის ჯამში ჰქონდა ე. კატინას (გზათა მიმოსვლის სამინისტრო) — 35,3 ქულა.

მაგრამ ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იყო „კონცერტი“ ოსტატთა პროგრამით, სადაც მარშანდელ სპარტაკიადის ჩემპიონს მ. ნინოშვილს (საქართველო) უნდა დაეცვა თავისი მაღალი ტიტული ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

ეს საკმაოდ რთული ამოცანა აღმოჩნდა ისეთი სტაბილური მაჩვენებლების მქონე ტანმოვარჯიშისთვისაც კი, როგორიცაა მ. ნინოშვილი. მას გამოუჩნდა საშიში და ღირსეული მეტოქე ირინე პერვუშინას სახით (გზათა მიმოსვლის სამინისტროს გუნდი).

მზიამ ჩვეული ოსტატობით, გამოკვეთილად და მსუბუქად შეასრულა თავისუფალი ვარჯიში, სადაც მიიღო 9,5 ქულა. ირინე მას 0,1 ქულით ჩამორჩა.

ნაირსიმაღლის ორძელზე ყველაზე მაღალი შეფასება კვლავ ნინოშვილს ჰქონდა — 9,3, ხოლო პერვუშინა საერთოდ ვერ მოხვდა პირველ სამეულში. აქ მეორე ადგილზე იყო ვ. ბესონოვა (უკრაინა) — 9,15 ქულა და ა. მარიამიძე (საქართველო) — 9,1 ქულა.

სამაგიეროდ, პირველი ადგილის კონკურენტთა „ანგარიშები“ გასწორდა მომდევნო იარაღზე — დვირზე. ახლა ნინოშვილი ვერ გავიდა სამეულში, სადაც ვ. ბესონოვასა და ე. ვოლჩეცკაიას (ბელორუსია) ერთნაირი შედეგი — 9,1 ქულა აღმოაჩნდათ. პერვუშინა გამოვიდა მესამე ადგილზე.

ბჯენით ხტომებში პერვუშინამ მიიღო 9,4 ქულა, რამაც მას პირველი ადგილი მოუტანა ამ სახეობაში. გამარჯვებულს 0,1 ქულით ჩამორჩა ნ. ზაპლეტკინა (რსფსრ), ხოლო მესამე ადგილზე 9,2 ქულით გამოვიდა მ. ნინოშვილი.

4 იარაღის ჯამში დაწინაურდა ი. პერვუშინა — 36,5 ქულა, მ. ნინოშვილმა მიიღო 36,4, ხოლო ე. ვოლჩეცკაიამ — 36,05 ქულა.

ნებისმიერ ვარჯიშებს უნდა გამოერკვია, თუ ვინ გახდებოდა ჩემპიონი — ირინე თუ მზია?

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ოსტატთა პროგრამით მონაწილე ჭაბუკებს შორის.

როცა დამთავრდა სავალდებულო ვარჯიშები, ექვსჯიდის ჯამში საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელს ვ. მალინიკს — 52,25 ქულა, თუმცა ცალკეული იარაღებიდან მან მოიგო მხოლოდ ერთი — თავისუფალი ვარჯიში, ისიც საკმაოდ დაბალი შედეგით — 8,9 ქულა. ტაიჭზე მალინიკმა დაიკავა მესამე ადგილი, ხოლო ღერძზე — მეორე. სხვა დანარჩენ იარაღებზე იგი სამეულში არც მოხვედრილა.

საერთო მეორე ადგილზეა კ. ხოდიკიანი (საქართველო)—51,7 ქულა. იგი საუკეთესო იყო ღერძზე — 9,15 ქულა და მეორე — ტაიჭზე.

6 იარაღის შემდეგ მესამე ადგილზეა ჯ. ყარაზანიშვილი (გზათა მიმოსვლის სამინისტროს გუნდი)—51,65 ქულა. მან ყველაზე მაღალი ქულა მიიღო ბჯენით ხტომაში — 9,3 ქულა და მეორე ადგილი დაიკავა რგოლებზე.

საქართველოს გუნდის წევრი რ. ჯაფარიძე ჯერჯერობით პირველია ტაიჭზე ვარჯიშში — 9,15 ქულა. ორძელზე დაწინაურდა ა. ვინოგრადოვი — 9,1 ქულა, ხოლო რგოლებზე — ვ. სველიევი (მოსკოვი) — 8,75 ქულა.

პირველთანრიგოსან ჭაბუკთა შორის სავალდებულო პროგრამის შემდეგ წინაა ბ. აბრამშვილი (საქართველო) — 55,85 ქულა.

გუშინ საღამოს დამთავრდა გოგონათა შეჯიბრება. მზია ნინოშვილმა კვლავ მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის სახელი გოგონათა შორის. საქართველოს გოგონათა გუნდიც პირველ ადგილზე გამოვიდა.

ისევ და ისევ

ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდს შეიძლება ვუსაყვედუროთ ტაქტიკური ხასიათის შეცდომები, როცა, ვთქვათ, არ არის სათანადო კონტაქტი ხაზებს შორის, ან თავდამსხმელები ვერ პოულობენ სწორ გადაწყვეტას მოწინააღმდეგის დაცვასთან ბრძოლაში. მისტეევებელია ტექნიკური ნაკლოვანებანიც მაღალი ბურთების მიღებაში, თავით თამაშში, ძნელი მდგომარეობიდან კარში არაზუსტი დარტყმები და ა. შ.

აი, ჩვენი ფეხბურთელთა ნაკრების მარცხენა შუამარბმა დავითულიანმა აშკარად დაზოგა თავი და იზარმაცა მატჩში ლენინგრადის გუნდთან. ამაოდ ეძახდა მას მთელი ტაიმის განმავლობაში მწვრთნელი ნ. ძიაპშიპა — გაანძრიე ფეხიო. დავითულიანი მაინც უხალისოდ, უგულოდ დარბოდა მინდორზე.

გარდა ამისა, ისევ უთავბოლოდ და დაუსრულებლად ატარებდნენ ბურთს ჩვენი ფეხბურთელები. მათი მოწინააღმდეგე — ლენინგრადის გუნდი არ გამოირჩევა სიძლიერით, მაგრამ ლენინგრადელები უბრალოდ, ეკონომიურად თამაშობდნენ, ხოლო საქართველოს ჭაბუკები — ძალების დიდი დახარჯვით, ბურთის ყოვლად უმიზნო „ღეჭვით“. ისინი, ფაქტიურად თვითონ იძნელებენ თამაშს მარტივ სიტუაციაში, სასარგებლო და ოოლად შესასრულებელი გადაცემის ნაცვლად იწყებენ ბურთის „მარათონულ“ ტარებას. მაგრამ ზოგიერთმა არც ეს ტარება იცის და პირველივე შეტაკებაში კარგავს ბურთს.

ერთადერთი გოლი, რომელმაც ჩვენს გუნდს მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა მეორე ტაიმში ლეჟავას მიერ — 1:0.

იმავე ქვეჯგუფში, სადაც თამაშობს საქართველოს გუნდი, ფრედ — 0:0 ითამაშეს აზერბაიჯანისა და „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთელებმა.

პირველ ქვეჯგუფში მოსკოველებმა დაამარცხეს გზათა მიმოსვლის სამინისტროს გუნდი — 5:2, ხოლო უკრაინელებმა — სომხები — 3:0.

ჩვენ გვწერენ

მუშაობა არ გარდაუქმნიათ

„განთიადის“ ზესტაფონის პირველ რაიონულ კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარე წლის 7 ივნისს გაიმართა, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული რაისაბჭოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კონფერენციამ დასახა სათანადო ღონისძიებანი. მოსალოდნელი იყო, რომ ახლად არჩეული საბჭო (თავმჯდომარე ო. შამათავა) იზრუნებდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, მუშაობის დონე უფრო დაეცა, რის გამოც 14 ძირეული კოლექტივიდან 13 მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

აღშფოთებას იწვევს ის, რომ ისეთ დიდ საწარმოში, როგორიც სამტრესტის ზესტაფონის № 1 ღვინის ქარხანაა, არც ერთი სახეობის სექცია არაა შექმნილი მაშინ, როცა აქ საამისო შესაძლებლობა არსებობს. დღემდე არავის უზრუნია საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისათვის. ანალოგიური მდგომარეობაა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა პროფკავშირების სისტემაში შემავალ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში.

მიმდინარე წელს „განთიადის“ რაისაბჭომ 250-მდე ნიშნისანი და თანრიგოსანი უნდა მოამზადოს, მაგრამ აქ დღემდე არც ერთი რაიონული ან საქალაქო მასშტაბის ღონისძიება არ ჩაუტარებიათ.

იქნებ მოვალეობის მოხდის მიზნით ჩატარდა რაიონული კონფერენცია. თუ ეს ასე არაა, სად არის შედეგები?

ს. ტალახაძე

არაერთგზის თხოვნის მიუხედავად

წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის ახალგაზრდებს არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია სპორტში მეცადინეობისათვის. არავინ ზრუნავს მოედნების მოწყობასა და სექციების შექმნისათვის, სპორტის მოყვარული ახალგაზრდები სურვილს საშუალო სკოლის მიუწყობელ მოედნით ვიკმაყოფილებთ. ჩვენი არაერთგზის თხოვნის მიუხედავად ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი არ გვეხმარება კოლმეურნე ახალგაზრდებს შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლაში, ბაზების კეთილმოწყობაში.

ს. ჩიორგაძე

სპეციალისტთა პროგნოზები

ამას წინათ პოლონეთის სპორტულმა გაზეთმა „პშეგლონდ სპორტოვიმ“ მძლეოსნობის სპეციალისტებს დაუგზავნა ანკეტები: ვის თვლიან ისინი ევროპის ჩემპიონობის პრეტენდენტებად მძლეოსნობაში. ანკეტა მიიღო ხუთმა სპეციალისტმა: გრუმპმა (ინგლისი), პარიენტემ (საფრანგეთი), კოპერმა (ჩეხოსლოვაკია), სეტანიმ (იტალია) და ოტკალენკომ (სსრკ). აი მათი პასუხებიც.

	ი. გრუმპი (ინგლისი)	რ. პარიენტე (საფრანგეთი)	ი. პოპერი (ჩეხოსლოვ.)	რ. კუერსეტანი (იტალია)	ვ. ოტკალენკო (სსრკ)
100 მ	გერმარი (გ)	გერმარი	გერმარი	გერმარი	გერმარი
200 მ	გერმარი	გერმარი	გერმარი	გერმარი	გერმარი
400 მ	ჰაასი (გ)	ჰაასი	რაიტონი (ი)	სალხბერი (ი)	რაიტონი
800 მ	მაკომასკი (პ)	მოენსი (ბ)	მოენსი	მაკომასკი	მაკომასკი
1500 მ	ვერნი (შ)	დელანეი (ირ)	იუნგვირტი (ჩ)	დელანეი	როფეველდი (უ)
5000 მ	პირი (ი)	პირი	ზიმნი (პ)	საბო (უ)	პირი
10000 მ	კშიშკოვიაკი (პ)	კშიშკოვ.	კშიშკოვ.	კშიშკოვ.	კშიშკოვ.
110 თ	ლაუერი (გ)	ლაუერი	ლაუერი	ლაუერი	ლაუერი
400 თ	იანცი (გ)	ლიტუევი (სსრკ)	ფარელი (ი)	გოუჩი (ი)	ლიტუევი
3000 დ	ხრომიკი (პ)	ხრომიკი	ხრომიკი	ხრომიკი	ხრომიკი
4×100	გერმანია	გერმანია	გერმანია	გერმანია	გერმანია
4×400	ინგლისი	ინგლისი	ინგლისი	ინგლისი	ინგლისი
სიმაღლე	სტეპანოვი (სსრკ)	სტეპანოვი	სტეპანოვი	პატერსონი (შ)	სტეპანოვი
სიგრძე	გრაბოვსკი (პ)	ტერ-ოვანესიანი (სსრკ)	ტერ-ოვან.	ტერ. ოვან.	გრაბოვსკი
ჭოკი	რუბანისი (ს)	რუბანისი	რუბანისი	რუბანისი	რუბანისი
სამხტომი	რიახოვსკი (სსრკ)	რიახოვსკი	კრეერი (სსრკ)	რიახოვსკი	რიახოვსკი
ბირთვი	სკობლა (ჩ)	როუე (ი)	სკობლა	სკობლა	სკობლა
ბადრო	კლიჩი (უ)	პიატკოვსკი (პ)	სეჩენი (უ)	პიატკოვსკი	სეჩენი
შუბი	სიდლო (პ)	სიდლო	სიდლო	სიდლო	კუზნეცოვი (სსრკ)
ურო	კრივონოსოვი (სსრკ)	კრივონ.	კრივონ.	კრივონ.	სამოცვეტოვი (სსრკ)
ათჭიდი	ვ. კუზნეცოვი (სსრკ)	კუზნეცოვი	კუზნეცოვი	კუზნეცოვი.	კუზნეცოვი.

შენიშვნა: გ — გერმანია, ი — ინგლისი, პ — პოლონეთი, ბ — ბელგია, შ — შვეცია, ირ — ირლანდია. ჩ — ჩეხოსლოვაკია, უ — უნგრეთი, ს — საბერძნეთი, თ — თარჯრბენი, დ — დაბრკოლებებით რბენა.

აქტიურად, შინაარსიანად

შინაარსიანად ატარებენ არდადეგების მხიარულ დღეებს საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სურამის პიონერთა ბანაკში. აქ რეგულარულად ეწყობა ლაშქრობები, ექსკურსიები. ბავშვებმა დაათვალიერეს სურამის ციხე, ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი, მოაწყეს ლაშქრობა სურამის უდელტეხილზე დამისთევით, სადაც გამოუშვეს საველე გაზეთი „ნორჩი ტურისტი“.

ნორჩმა დამსვენებლებმა მოაწყეს ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი შეკრება, აანთეს კოცონები, გამართეს კონცერტი, სადაც ნორჩ დეკლამატორებთან, მომღერლებთან ერთად თავიანთი ოსტატობა აჩვენეს ნორჩმა სპორტსმენებმაც.

ამ დღეებში პიონერებმა ჩაატარეს საბანაკო სპარტაკიადაც. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები.

* * *

სურათზე: ბანაკის ნორჩი მოგზაურები შესვენებაზე ამზადებენ საუზმეს. მარჯვნიდან სურამელი პიონერი ლ. ბებიაშვილი, თბილისელები გ. ქუბაძე. გ. იაკუბოვი და ჩოხატაურელი დ. დოლიძე.

ფოტო და ტექსტი გ. ჭიმერიძისა.

რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა: ტყვიით სროლაში: პ. ა. პროზოროვს და ვ. მ. სალუქვაძეს (ორივე თბილისი, „განთიადი“); ფარიკაობაში: შ. ვ. ენდელაძეს (თბილისი, „დინამო“); თავისუფალ ჭიდაობაში: ზ. ვ. ხარაიშვილს (სოხუმი, „სპარტაკი“).

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა კლასიკურ ჭიდაობაში გ. ლ. შენგელიას (თბილისი, „დინამო“).

გაბრიელ ანოს ნაკრები

ფეხბურთის ცნობილმა ფრანგმა სპეციალისტმა გაბრიელ ანომ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლში“ გამოაქვეყნა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა. იგი არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რომელმაც მსოფლიოს ნაკრები შეადგინა და თვითონ შეადგინა ნაკრები.

მეკარე: იაშინი (სსრ კავშირი); მცველები: ჯალმა სანტოსი და ნილტონ სანტოსი (ორივე ბრაზილია); ნახევარმცველები: ვოინოვი (სსრ კავშირი), ბელინი და დიდი (ორივე ბრაზილია); თავდასხმა გარინჩა (ბრაზილია), ფონტენი, კოპა (ორივე საფრანგეთი), პელე (ბრაზილია) და ვენსანი (საფრანგეთი).



ილბლიანი გასროლა

ნახატი გ. ფირცხალავასი.

კალეიდოსკოპი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
„სპარტაკი“	16	11	4	1	42:18	26
ცსკ მო	18	8	7	3	35:20	23
„დინამო“ მ.	16	8	3	5	30:20	19
„შახტიორი“	16	8	3	5	17:18	19
„ზენიტი“	15	6	6	3	28:18	18
„ლოკომოტივი“	14	6	5	3	23:14	17
„ტორპედო“	16	4	8	4	36:32	16
„დინამო“ კ.	15	2	8	5	25:26	12
„დინამო“ თბ.	16	5	2	9	26:47	12
„მოლდოვა“	15	2	6	7	17:30	10
„კრ. სოვეტ“.	15	2	6	7	11:22	10
„ადმირალტ“.	16	3	0	13	18:43	6

⊙ მ ო ს კ ო ვ ი. 20 აგვისტო. დღეს აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ცსკ მო- „დინამო“ (კიევი).

მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

თავდასხმაში არც ერთი იტალიელი

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი 19 წლის ხოსე ალტაფინი, რომელიც ფეხბურთელთა წრეებში მაცოლას სახელით არის ცნობილი, ამიერიდან იტალიის კლუბ „მილანში“ ითამაშებს. მაცოლას „მილანის“ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაუხადა საკმაოდ დიდი თანხა.

ამგვარად, „მილანის“ თავდასხმაში არც ერთი იტალიელი აღარ დარჩა. მაცოლას გარდა აქ თამაშობენ ურუგვაის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი სკიაფინო, არგენტინელები გრილიო და კუკიარონი, შვეიცის ეროვნული ნაკრების კაპიტანი ლიედჰოლმი.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების 3-90-34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03776